№ 121 10 თიბათვე, ქვირა 1866—1879 10 თიბათვე, ქვირა № 121

დროება

ᲣᲙᲣᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მ.ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ნეკულტურული ცხელოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გამოსწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ

მ. მ. საფაროვისა

ამ ბენეფისისათვის წინათვე ალაგების დაჭერა შეიძლება როინოვის ფოტოგრაფიაში, დეორცოვის ქუჩაზე, ზ. სარაჯოვის სახლებში.

(3—3)

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიჟი, 6 ივნისს, ნაციონალურ კრებისა და სენატის ვერსალიდამ პარიჟში გადატანის წინადადების განსახილველად ეს ორი პალატა შეერთდა და შესდგა კონგრესსი, რომლის თავსმჯდომარედ იყო სენატის თავსმჯდომარე მარტელი. მინისტრმა ლერუაიემ შეიტანა წინადადება კონსტიტუციის მეცხრე მუხლის შეცვლაზედ, რომლის ძალითაც პალატების ადგილ-სამყოფად დანიშნულია ქალაქი ვერსალი. კონგრესსმა გარდაწყვიტა, რომ ამ წინადადების განსახილველად 15 კაცისაგან შემდგარი კომისია დანიშნოს.

პეტერბურღის ბირჟა, 5 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	95—	50
მეორე— — — — —	95—	„
მესამესი — — — —	95—	„
მეოთხესი — — — —	95—	50
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ. —	93—	„
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ—	92—	62
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ—	„—	„
ᲠᲣᲡᲘᲠᲝ, 1/2 იმპერიალი—	8—	39
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ —	94—	93

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	242—	75
მეორე სესხის — — —	237—	25

1 მანეთი ლირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — —	23—	72 პენსი
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ— —	119—	„ ცენტი
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ— — —	201—	75 ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲟᲘ — — —	248—	„ სანტიმი
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	„ —	„ —

საქართველო

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲛᲐ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ-ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ Თ. Ზ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲠᲣᲞᲞᲐ ᲓᲐᲘᲨᲚᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲛᲝᲩᲘᲡᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲣᲤ. ᲘᲕ. ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲛ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲔᲑᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲢᲠᲣᲞᲞᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲗ ᲓᲐᲛᲚᲘᲚᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢ-ᲝᲪ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲚᲝ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲗᲘ—ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ; ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ-ᲝᲗᲮᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ. ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ" ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ-ᲓᲐ-ᲮᲐᲜ ᲙᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲓᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲔᲑᲘᲐ: ᲔᲠᲗᲡ ᲕᲘᲡᲛᲔ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲐᲖᲠᲘ: ᲛᲝᲓᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗᲝᲗ! ᲛᲝᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲝᲜᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲔᲑᲡ,—ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲤᲘᲨᲔᲑᲨᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ—ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ, ᲫᲘᲡ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ, ᲭᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲝᲗᲝᲛᲐᲨᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲗ, ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲓ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ „ᲓᲠᲐᲛᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲬᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐᲡ. ᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲬᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲞᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲪᲐ ᲙᲘ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲪᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ „ᲓᲠᲐᲛᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ" ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲕᲔᲥᲐᲮᲘᲠ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲓ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲢᲠᲣᲞᲞᲐ ᲛᲙᲘᲓᲠᲐᲓ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲗᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲒᲕᲘᲒᲘᲐ, ᲐᲛ ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ, ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲘᲛᲐᲗ ᲗᲔᲐᲢᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲗᲠᲣᲞᲞᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲠᲣᲞᲞᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ; ᲰᲧᲐᲕᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ (Თ. Დ. Ბ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ, ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲡ, ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡ ᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ—ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲬᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲐᲮᲚᲝᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲞᲐ; ᲗᲣ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲗᲣ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡ ᲐᲛᲙᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲪᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ, ᲮᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ; ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲣᲤᲔᲚᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲘᲗᲝᲜᲪᲕᲔ ᲨᲔᲡᲪᲕᲚᲘᲐᲜ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲡᲡ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲪᲐ. ᲢᲠᲣᲞᲞᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘᲐ. ᲐᲛ ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ.

ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲘᲜᲝᲓᲔᲡ: ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲘᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲕᲔᲡ; ᲘᲛ ᲤᲣᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲚᲐᲓ, ᲢᲠᲣᲞᲞᲐᲡ

მოელის ყოველ წარმოდგენიდამ წმინდა შემოსავალისა შუალის რიცხვით თვეში 800—1000 მან. მაინც (თუ კვირაში თითო წარმოდგენა გამართა) და ამ ფულით იმას შეუძლიან არსებობა.

ამ მხრით, ვიმეორებთ, იმას დაბრკოლება არ ექნება. ჩვენ ვინატრით მხოლოთ იმას, რომ თვითონ ტრუპპის წევრებში იყვეს თანხმობა, ძმობა და წესიერება. ვინატრით, რომ ამ ტრუპპამ აიცილოს თავიდამ ის ჭორები, ინტრიგები და ერთმანეთში განხეთქილება, რომელიც, საუბედუროთ, ყოველ ამ გვარ საქმეს ხშირად მოსდევს ხოლმე.

ყოველ წევრს ტრუპპისას უნდა ახსოვდეს, რომ ის მარტო ჯამაგირისა და ჯილდოს მიღებისათვის არ გამოდის სცენაზე; უნდა ახსოვდეს ისიც, რომ ის ქართულ სცენას ემსახურება, რომ საზოგადოთ სცენის სამსახურს და განსაკუთრებით ქართულის სცენისას არ შეჰფერის ვერცხლ-მოყვარეობა და მატერიალურ ინტერესის ერთობ გულ-მოდგინედ გამოდევნება.

ერთის სიტყვით ჩვენი აზრი ეს არის, რომ, თუ ამ საქმეში, მატერიალურ ინტერესს გარდა, ცოტა მაინც ზნეობითი მხარეც იქნება შეტანილი, თუ ტრუპპა არ დაივიწყებს, რომ ქართულ საქმეს ემსახურება, მაშინ ჩვენი ქართული თეატრისა და ტრუპპის საქმე კარგათ წავა. თუ არა და ისე დაიფუშება, როგორც ადრე დაფუშულა...

ს. მ.

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ მოსულებისაგან შეიტყეთ, რომ ის ხმები, რომელიც დაჰყარა სომხურ გაზეთმა „ᲛᲨᲐᲙᲛᲐ“, რომ ვითომც ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲐᲛ 60,000 ოჯახი(?) აპირებს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲛ გადასახლებასაო, ერთობ გაზვიადებული და გადაჭარბებული ყოფილა. ჩვენ გვითხრეს, რომ ამ უკანასკნელ დროს ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ სოფლიდამ საღორეთიდამ მხოლოთ ორმოც-და-ათი მოსახლე გადასახლდაო.

*** ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენში კალია აწუხებს მეურნეებს, ისე რუსეთში, კალიას გარდა, რაღაც ჭია აფუჭებს პურსა და საზოგადოთ ყანებს. ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲐᲡ გამოუცდია ამ უკანასკნელ დროს სხვა-დასხვა მაშინები, რომელნიც მოუგონიათ ამ ჭიების გასაწყვეტად და, როგორც გაზეთებში იწერებიან, ერთი ვიღაც საკოვნინის მაშინა ყველაზე უკეთესი გამომდგარა; ამ მაშინის შემწეობით ერთს ყანაში სრულებით გაუწყვეტიათ რაც კი ჭიები ყოფილა.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ეს მაშინა კალიისათვისაც გამოდგეს?

რატომ ჩვენი მეურნეობის საზოგადოება ან ამ მაშინასა და ან რაღაც მაშინა გამოუგონიათო ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ საკუთრივ კალიისთვის არ გამოსცდის და რატომ საზოგადოთ თავითარ ღონისძიებას არ ხმარობს ამ მეურნეობის გაჭირებაში?

*** „ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილია ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ მიღებული ტელეგრამმა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ გასულ მაისის შუა რიცხვებში ᲣᲐᲠᲡᲘᲡ სამზღვარზე გადმოსულა გამოჩენილი ავაზაკი მეჰრ-ᲐᲚᲘ, რომელსაც რამდენიმე ათი კაცი ამხანაგები ჰყავსო.

ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛᲕᲔ იწერებიან, რომ, იქაურის კამენდანტის ბრძანებით, რაც იქ ქიციანი და მაწანწალა ძაღლები, ყოფილა პოლიციას დაუხოცია.

*** ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲛ იწერებიან „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ“, რომ წელს მთელს უეზდში ძალიან უხვი მოსავლის იმედი აქვთო. ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲗ დაყურწული არის მტევნებით და ღვინის მოსავალიც ძალიან კარგი იქნებაო. ᲡᲔᲢᲧᲕᲘᲡᲘᲡ და ᲙᲐᲚᲘᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ კი კრთიან თურმე მემამულეები. ᲕᲐᲖᲖᲔ ჯერ ნაცარი სრულებით არა სჩანსო.

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ იქაური ხალხი ძალიან ემადლიერება ახალ ᲫᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ უფ. ᲚᲘ. Ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲡᲐ და საზოგადოთ ახალ გამგეობასაო. ᲐᲮᲚᲐᲕᲔ დაეტყო ქალაქს კეთილ-განწყობილება, ქუჩები კეთდება, ქალაქს შემოსავალი ემატებაო და სხვ.

*** ᲔᲠᲗᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ გაზეთში დაბეჭდილია ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ მიღებული ამბავი, რომ მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲣᲐᲠᲡᲘᲡ მაზრაში, რუსეთის ახალ სამზღვარზე ჩინებული ჩაი მოდისო. ᲔᲠᲗᲛᲐ ვაჭარმა შეკრბა ამას წინათ 200 ფუთი ჩაი, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ჩამოიტანა, აქედამ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ წაიღო და იქ კარგ ფასად გაჰყიდაო.

*** სია საგნებისა, რომელზედაც ხვალ, ორშაბათს, უნდა იქნეს სჯა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ რჩევის სხდომაზედ:

მოხსენება კომისიისა საყასბოების გამართვაზედ.

მოხსენება ხმოვანის Ნ. Ნ. ᲨᲐᲜᲨᲘᲔᲕᲘᲡᲐ ობლების სასამართლოსათვის გადადებულის ფულის მომატებაზედ.

მოხსენება კომისიისა ბირჟის მეფაეტონების ტაქციაზედ.

ᲑᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ. ᲘᲐ. ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ ხმოვანობიდამ დათხოვნის შესახებ.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ სასაფლაო ადგილის ამორჩევაზედ.

ᲑᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲢᲐ. ᲨᲘᲝᲔᲕᲘᲡ ანდერძის აღმასრულებლებისა ამ ანდერძის შესახებ და სხვ.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘ, 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. დასამატებელათ იმ სტატიებისა, რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი თქვენს პატივცემულს გაზეთში შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა, გატყობინებთ ერთს ამბავს, რომელიც მისცემს მკითხველს ნამდვილს წარმოდგენას იმაზედ, თუ რა საშუალებას ხმარობენ მარტვილელები, ოღონდ კი თავიანთ სასწავლებელი მარტვილშივე დარჩეს. საქმე მდგომიარობს შემდეგში:

ᲝᲠს ამ თვისას ვინმე Ბ. ᲑᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐმ, მარტვილელმა გლეხმა, ᲨᲕᲘᲢᲪᲔᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ სუდში საჩივარი მარტვილელსავე აზნაურზე ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲖᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲐზე, რომ მან, ᲖᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲐმ გამოართო ᲑᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐს 300 მანეთის თამასუქი იმ პირობით, რომ იგი დაჰქრთამავს და შეისყიდის ოთხს დეპუტატს მარტვილის სასარგებლოთ.

რადგანაც ᲖᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲐმ ეს პირობა ვერ აღასრულა და სასწავლებელი, როგორცა სჩანს, მაინც გადადის, ᲑᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐ ითხოვს დაბრუნებას თავის თამასუქისას, რომელსაც ᲖᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ არ უბრუნებს.

ᲔᲡ პირობა, რომ ᲖᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ შეისყიდის ოთხს დეპუტატს, ქალალდით ყოფილა გამოცხადებული და პირობის ქალალდი სუდში იყო წარდგენილი.

ᲐᲛ სამარცხვინო ფაქტს, ჩემის მხრით, არა რაი განმარტებას არ ეჭირება.

ᲘᲡᲛᲘᲡ, რომ ის პირნი, რომელზედაც სასწავლებლის საქმე არის დამოკიდებული, აპირობენ დარჩენას სასწავლებლისას ისევ მარტვილში კიდევ ერთი წელიწადი. თუ ეს ხმა ნამდვილია, არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ან ამ პირთ სასწავლებლისათვის ცუდი უნდათ, რომ ძალათ ცდილობენ განაგრძონ მისი აწინდელი უვარგისი მდგომარეობა, ან მათ არ ესმით და არც უნდათ გაიგონ ნამდვილი, აუცილებელი საჭიროებანი სასწავლებლისა...

Ჯ.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

რესპუბლიკის პრეზიდენტს ᲟᲣᲚ ᲖᲠᲔᲕᲘᲡ გასული მაისის თვის დამლევს მოუწერია ხელი დეკრეტზე, რომლის ძალითაც გამოჩენილ რევოლიუციონერს ᲑᲚᲐᲜᲙᲘᲡ ეპატიება ყოველი თავის პოლიტიკური დანაშაული, და ამის გამო ის 29 მაისს უკვე გაუთავისუფლებიათ სატუსაღოდამ.

— ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ რესპუბლიკურ პარტიის დეპუტატმა ᲜᲐᲙᲔᲡ შეიტანა ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ წინადადება იმის თაობაზედ, რომ გამოიცეს კანონიო, რომლის ძალითაც ცოლ-ქმარს შეეძლოთ გაყრა და ერთმანეთის მოშორება, როდესაც იმათ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდება და ორივე მხარე ითხოვსო. ᲙᲠᲔᲑᲐს ამ წინადადების განსახილველად თერთმეტი დეპუტატისაგან შემდგარი კომისია დაუნიშნავს და ამ თერთმეტ წევრში, ამბობენ, 8 თანახმა არის ᲜᲐᲙᲔᲡ წინადადებისაო და 3 კი წინააღმდეგი.

— ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 2-ს ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ სენატში ყოფილა მოლაპარაკება სენატორის ᲞᲔᲘᲠᲐს წინადადებაზე, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ და სენატი ᲛᲔᲠᲡᲐᲚᲘᲓᲐᲛ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

იქმნეს გადატანილია ბაცხარებული ბაასის შემდეგ სენატმა, 149 ხმის უმეტესობით 130 ხმაზე, მიიღო სენატორის პეირას წინადადება, ე. ი. პალატები პარიჟში გადავიტანოთო.

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთის „სტანდარის“ კორრესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ, რომ მაისის 26 ღამით სტამბოლში დაუტუსაღებიათ რამდენიმე წარჩინებული პირები; თორმეტი ამათგანი ხონთქრის სასახლეში მიუყვანიათ, აქ ამათთვის ჩვენება ჩამოურთმევიათ და შემდეგ სატუსაღოში წაუყვანიათ.

ამავე გაზეთის სიტყვით, ახლანდელი სამინისტრო (ხეირედდინ და ყარა-თეოდორი ფაშებისა) გადაყენებული იქნება ამ მოკლე ხანში და ამათ მაგიერად ახალ სამინისტროს შედგენას ხონთქარი მაჰმუდ-ნედიმ ფაშას მიანდობს, რომელიც რუსეთის თანამგრძნობელი არის.

წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

„დროების“ (№ 91 და 203) დაბეჭდილია შესახებ ტორგოვის (სავაჭრო) პოლიციის მოსამსახურე პირებისა; № 91-ში სწერია ასე: ვითომც ბაყლები და მიკიტნები დესეტნიკებს არაყს ასმევდენ და ქრთამს აძლევდენ, ესენი სოფლის ხალხს წეწვა-გლეჯით იარმუკიდგან ერეკებოდნენ. და სხ.

ამნაირი მოქმედება არც იარმუკაში და არც თუ სხვა ბაზარში ტორგოვის პოლიციის მხრიდგან სრულიად არ ყოფილა და არც თუ როდისმე მოხდება.

მხოლოდ წარსულს აპრილის თვეში, ათამდისინ რძეულის გამსყიდავთ დედაკაცებმა კი იჩივლეს ქალაქის ახალს თავთანა პოლიციის აფიცრებზედ და დესეტნიკებზედა, რომელთაც ამ მოჩივრებთათვის აეკრძალათ რძეულის გასყიდვა სემინარიის წინ ქუჩაზედა; ამის გამოც მე ვიყავი სწრაფლის ბრძანებით გგზავნილი უფ. ქალაქის თავის ა. ს. მატინოვისაგან შესატყობლათ და დასაკმაყოფილებლათ მოჩივრებისა; ამათ მე იმავე დღეს უჩვენე სემინარიის პირდა-პირ ადგილი, სადაც იმ დღიდგან იგინი დღესაც ყიდიან თავისუფლათ ყოველს რძეულსა.

შემდეგ ამ ამბისა, მესამეს დღეს, იყო კიდევ ერთი შემთხვევა: რამტენიმე საპალნე წალკის ოკრუღიდგან მოტანილი კვერცხები გავყავი შუაზედა; ეს კვერცხები უნდა გაეყიდნათ ზოგთ თათრის მოედანზედ და ზოგთ კი სემინარიის მახლობლათა. ამათგანი ერთი კაცი სემინარიის წინ დაემწყვდია საპყრობილეში მესამე ნაწილის პოლიციის პრისტავსა, იმისთვის რომ სახელდრები აქ რათ გიდგათო. ამაზედ მაცნობეს თუ არა, მაშინათვე წავედი აღნიშნულის პრისტავის კანცელარიაში, ვნახე პრისტავის თანაშემწე უფ. შიუკოვი, რომელმაც ჩემი თხოვნის შემდეგ განათავისუფლა საპყრობილიდგან კვერცხის გამყიდავი დატუსაღებული პირი.

აგრეთვე № 103-ში, დაბეჭდილია, რომ ქალაქის რჩევაში მრთელს სხდომას ჰქონია სჯა ტორგოვის პოლიციაზედა; საზოგადოთ ყოფილა იმათგან გამოთქმული, რომ ნაცვლებს და ბაზარნიკებს სარგებლობის სამაგიეროთ ქალაქისთვის ვნება მოაქთო, ამათა და ვაჭრებს ერთმანეთში პირობები აქვსთ შეკრულიო, ქრთამებს იღებენო და სხვ.

ამის პასუხათ მე განვაცხადებ: თუ რომ მართლა რჩევაში რომელსამე პირს გამოუთქვამს ზემოთ-მოყვანილი სიტყვები ტორგოვის პოლიციის მოსამსახურე პირებზედა, იმას ამ საგანზედა სრულებით არა სცოდნია გარემოება; ჩვენ ვაჭრებთან ვისთანმე არავითარი კავშირი და პირობები არა გვაქვს-რა შეკრული, არც თუ ქრთამი აგვილია. ამ სიტყვებს ვანბობ დამტკიცებით მომატებულათ უფრო ჩემზედა და თუ რომ სხვებთაგან ვინმე როდისმე ყოფილან ცუდს საქმეში შენიშნულები, მაშინათვე ქალაქის თავის მხრიდგან ყოფილან სამსახურიდგან დათხოვნილები. აი ზოგნი ბაზარნიკები რაზედ დაითხოვეს: ერთს აეღო ორიოდე აბაზი მეფურნეებისგანა; მეორეს აეღო ერთი აბაზი ბაყლისგანა; მესამეს აეღო ნისიათ ათი შაურის პური მეფურნისგანა, მეოთხეს ორ მანეთს დაპირებოდნენ და არ მიეღო კი, მეხუთეს ორი მანეთი აეღო, მეექვსეს თათრის მოედანში ტომრებიდგან დაფანტული ხორბალი და ქერი ხელცახოცით ეგროვებინა და სალამოთი ქათმებისთვის შინ მიქონებოდა ხოლმე, და სხვ. და სხვ.

თუ რომ ამისთანა მცირეზედ არიან ხოლმე სამსახურიდგან დათხოვნილები, იფიქრეთ, თუ კი ამაზედ მომატებული დანაშაული ვისიმე გვეცოდინება, განაღა შეიძლება იმ პირის სამსახურში დარჩენა?

თუ რჩევამ ნამდვილათ რაიმე იცოდა თავიანთ გამოთქმულს აზრზედა, ნუ თუ ამისთანა საქმეზედ გაჩუმება ემართათ, შეეძლოთ ერთბაშათ სუყველანი დაეთხოვნათ სამსახურიდგან შერცხვენილები, და იმისთანა პირები დაენიშნათ იმათ ადგილასა, რომელთაც ქალაქისთვის სარგებლობის მოტანა შესძლებიყოთ; ან თუ გარეშე პირისგან ვისგანმე იყვენენ ამაზედ დარწმუნებულები, ესეც გასაკვირველია, გაუგებლათ როგორ ერწმუნებოდენ ვისმეს; ბრალიანს და უბრალოს ღორ-ხბოსაებ ერთმანეთში რად გვირევდენ? ძარგი იქნებოდა, რომ ეს ჩვენზედ მოლაპარაკე პირი დაეპირდაპირებინა ვისმეს ჩემთვისა და სახელდობრ ეჩვენებინა—რომელს ვაჭრებთან რა ნაირი პირობები გვაქვს შეკრული და ან ქრთამები რა საგანზედ და ან ვისგან აგვიღია; დაქადებით ვიტყვით, უთუოთ თავს გავიმართლებდი.

ნურა ყურმა ნუ გაიგონოს, რაც ეს ხალხი ბაზარნიკები უბედურათ ემსახურებიან, მაგრამ სილარიბის გამო ყველას უსიამოვნობისთვის თავი მიუშვერიათ; ყოველს კვირა დღით და ბედნიერ დღეშიაც ფეხზედ დგანან და ქალაქს უელიან რაც კი შეუძლიანთ; არ არის იმისთანა ბაზარნიკი, რომ სამჯერ და ორჯელ მაინც არ იყვნენ დაბალი ვაჭარი ხალხისაგან გალანძღულები; ზოგს ნიშანზედ (ზნაკზედ) ხელს კიდებენ და ამ სიტყვებს ეუბნებიან: „ეს ზნაკი ძალისა არის, ვინ მოგცათო!“ ზოგს პალტოს ახევენ, ზოგს ყელში უჭერენ დასახრჩობათა და სხვ. მეც კი ვარ რამდენიმე პირისაგან სამსახურის აღსრულების დროს გაუპატიურებული. თუმცა ზოგიერთს საგანზედ აკტებიც არის შედგენილი და სუდის წესით საქმეები წარმოებს, მაგრამ ჯერ ერთს საქმესაც ბოლო არ მოღებია, რომ აღსრულებაში იყოს მოყვანილი და ხალხს სამაგალითოთ მაინც ქონოდეს სახეში. ეს ხომ ყველამ ვიცით, სუდებში დაწყობილ საქმეებზედ, თუნდ მცირეზედ იყოს თუნდ დიდ რაზედმე, ერთნაირი წარმოება, მოცდენა და სიარული უნდა; ბაზარნიკებს ამ აქტების საქმეებზედ ხშირათ უხდებათ სუდებში მისვლა-მოსვლა და კიდეც ამტკიცებენ ხოლმე. ამისთანა წინააღმდეგი ხალხისგან კეთილი წესიერება საიდგან შესდგება? წინააღმდეგ პირთან საქმე რომ გვინდოდეს შევასრულოთ, ათზედ მეტი კაცი გაუჩნდებიან ქომაგათა.

იმისთანა ვაჭრის დუქანს იშვიათად იპოვნით, თუ რომ ყველასფერს გაუშინჯავთ, სამ-სამი და ორი მაინც კანონის წინააღმდეგი ნაკლოვნობა არ უპოვნოთ,—რომელ ერთზედ გნებამთ შეადგინოთ აკტი, ან სად არის იმოტელი დროება და ძალა, რომ ყველა ნაკლულს საგანზედ აკტები დაიწეროს? მაშინ მრთელი კანცელარიაც ვერ აუვა აკტების წერასა. რომ კიდეც შეიძლებოდეს აკტების მოსწრება, უსარგებლო არის, ამისთვის რომ მაგალითათ ვსთქვათ: ტორგოვის პოლიცია შეხვდა ჩარჩების (პერეკუპსჩიკის) აღკრძალულს ნასყიდს რამდენსამე ქალაქში შემოტანილს სხვადასხვა ხორაგეულით დატვირთვილს ურმებსა; აქ ტორგოვის პოლიციას ამის მეტი რა ნება აქვს, უნდა აქტი შეადგინოს და წარუდგინოს ქალაქის ბამგეობას: ბამგეობაც რამდენიმე დღის შემდეგ უგზავნის სასამართლოს გამომეძიებელს, გამომეძიებელი გამოძიების შემდეგ უგზავნის უმაღლეს ადგილსა და უკმაყოფილო პირიც გადადის აპელაციითა მაღალს ადგილებში! ნახეთ აქ რა ხდება ჩარჩების მხრიდანა: ვიდრემდისინ ეს დაწყობილი პროცესი თავდება და საქმე აღსრულებაში მოყავთ, ამ ჩარჩს ეს ნასყიდი დატვირთული ურმები სადაც სურს, იქ მიაქვს, სცლიან და თავიანთ ნებაზედ ყიდიან! რამდენ ამისთანა უწესოებას შეხვდება კაცი, აქ ტორგოვის პოლიცია რის დამნაშავე არის, ის არის ხელებ-შეკრული.

აქტის შედგენის დროსაც აი რა ხდება: პერეკუპშიკი თავის გვარს, სახელს და საცხოვრებ ალაგს არ გეუბნება და თუ როგორმე კიდეც გამოათქმევინე და აკტი შეადგინე, ამ აკტზედ მოწმეები არავინ გიწერს ხელსა, სუდებში მოგვინდება თრევაო!

მაგრამ ცოდო გამქლავნებული სჯობიან: დღეს თუ სრულდება რამე ჩვენის მხრიდგანა და მოჩივრებს ვაკმაყოფილებთ, კიდეც იმითი, რომ ზოგჯერ კანონს გარეთ გავდივართ, ისრე ვასრულებთ საქმეებსა.

ამასაც ვიტყვი, თუ რომ ტორგოვის პოლიციას უკეთესი უფლებანი არ მიეცემა, რაც დღეს აქვს მინიჭებული, მაშინ თურ ორი ტორგოვის სმოტრიტლის მაგივრათ ოთხი ნაცვალიც რომ დაინიშნოს და თორმეტი ბაზარნიკის ნაცვლად კიდევ თორმეტიც სხვა მოუმატონ, ჯამაგირებიც ბლომათ დაენიშნოს, მაშინაც დაბალი ვაჭრებისაგან უწესობა არ მოიშლება და თუ შესაფერი უფლება მიენიჭება ტორგოვის პოლიციას, მაშინ შესაძლო არის ყველამაც შეიძლოს ხალხის წესზედ დაყენება და სინიდისიანათ ვაჭრობის წაყვანა, ისიც ერთბაშათ კი არა, ცოტ-ცოტაობითა...

თუ უნდა ვისმე, რომ ხორაგეული ცოტაც არის გაეფდეს, მოგვცეს ნება და ძალა, სადაც სკლადებში, ქარვასლებში, წისქვილებში და სხვაგან პატრონებს უწყვიათ ყოველი ხორაგეული, ესენი მოედნებში გამოგვატანინონ, იქ გაყიდოს და ნახავთ, თუ რომ მაშინ უმეტესი იეფობა არ ჩამოვარდეს!..

ჩემს მოქმედებაზედ ამას ვიტყვი: აგერ მესამე წელიწადი არის, რაც მე საკუთრივ ტორგოვის სმოტრიტლის თანამდებობას განვაგებ; ყველა ღონისძიება მოიხმარე, ბევრჯელ მწარეთაც მოვეკიდე და ტკბილათაც ხალხსა, ასე გაშინჯეთ, როგორც ზემოთ ვსთქვი, ბევრჯელ კანონს გარეთაც მოვიქეცი და ვცდილობდი რომ ქალაქის საზოგადოება ხორაგეულის ვაჭრობაზედ დამეკმაყოფილებინა. მაგრამ კიდევაც არ ასრულდა სურვილი საზოგადოებისა, იმისთვის რომ ბევრი რამ არის მიზეზი, რომელსაც აქ აღარ ვაცხადებ...

თუ რომ ამაზე გამკიცხავს ვინმე, რასაც ზემოთ ვაცხადებ, ვინც ჩემზედ უკეთესი აღმოჩნდება, მე იმას ადვილად დაუთმობ ამ ჩემს თანამდებობასა, ახლა იმან სცადოს ის სიტკბოება, რაც მე ამ ოთხის წლის განმავლობაში გარდამხდია ვაჭრებისგანა და რაც საზოგადოებას ჩემზედ ცუდი აზრი აქვს—ეს კიდევ მეტი დასტალუღია ჩემთვისა.—

საკაჭრო პოლიციის ზედამხედველი
ფ. წითლიევი.

7 ივნისს.

განცხადებანი

ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ფადეიჩ კოტბიევი აუწყებს საყოველთაო საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე თფილისის ოკრუჟნის სუდიდან მოწმობა პოვერენობისა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სუდში საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდენ გამოჯვნის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში მეექვის ნაწილისა თფილისის ოკრუჟნის სუდში ვიდრე რვა წლამდე.

ბინა მექნება უაფლანიანთ ქუჩაში, იაგორ დემეტროვის სახლში, და ხშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. დუშეთში.

ეფრემ კოტბიევი

(7—6)

მე საგარეჯოს მამასახლისი საყოველთაოთ ეუცხადებ ყველა მაზრების სოფლების მამასახლისებს, რომ საგარეჯოს მცხოვრებლებს, რომლებსაც იქნებათ საგარეჯოს ნაკლულის სოლომონ ქაფთუაშვილისაგან მიცემული ბილეთები და რომლებსაც არ ექნებათ ზედ დასმული სასოფლო ღერბი, დაიჭირონ ისინი და წარმოადგინონ საგარეჯოში ჩემთან.

საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაკანტალაშვილი.

(4—4)

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღაზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

ქომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

თფილისში, უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

თ. ალექსანდრე ჯამბაკურიანის-ორბელიანის

ნაწერი

და

ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა

ფასი წიგნისა ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაევრდოვის ბაზეთის საააგენტოში—ბულვარზე.

ფასი—ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური. . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	0
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაღეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ.
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის		3
დაბეჭდილის (ხამი მისხალი)		8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 5 სვნისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	40
—ამერიკისა, ფუთი . .	9	20
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	60
მატყლი თუშური ფუთი	8	—
—თარაქამისა ფუთი . .	5	—
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	80
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	76
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	—
სპირტი ედრო	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	20
—ფხვნილი ფუთი . . .	5	70
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	65
ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ნაშუალო ფთ.	7	30

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორ შ ა ბ ა თ ს: ფერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ფერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ფერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ფერმიშევი—შინაგ., მიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ფერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ფერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 іюня 1879 г. Типографія Меликова. ბამბეცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.